

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 17 თებერვლის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება;

წევრები გაეცნენ:

(ა) თეონა გერაძის, ნინო ხურციძის, თეონა მარდალეიშვილის, გიორგი ლოლაძის, სალომე სამხარაძის, მზია კიკვაძის განცხადებებს გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის

შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეონა გერაძის, ნინო ხურციძის, თეონა მარდალეიშვილის, გიორგი ლოლაძის, სალომე სამხარაძის, მზია კიკვაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) რომან მალაყმაძის 2020 წლის 10 თებერვლის განცხადებას გაწევრიანების შესახებ თანდართული დოკუმენტებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ რომან მალაყმაძის განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას შემდეგი გარემოებების გამო:

1. 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც ადვოკატის სტატუსის მოპოვებისათვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად სავალდებულოა 1-წლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და 9 თვიანი სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი). წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ განმცხადებელს არ აქვს წარმოდგენილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის 1-წლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატებით დგინდება, რომ აღნიშნული სერტიფიკატების (სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - ჩაბარების თარიღი: 24.11.2007 და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით - ჩაბარების თარიღი: 12.12.2009) კანონით დადგენილი მოქმედების ვადა ამოწურულია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს რომან მალაყმაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;

წევრები გაეცნენ:

(ა) თეონა გაბოდის, ივანე სვიმონიშვილის, ნათია ბალათურის მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეონა გაბოდის, ივანე სვიმონიშვილის, ნათია ბალათურის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) ნოშრევან ჟღენტის 2020 წლის 5 თებერვლის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2014 წლის 5 დეკემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. იგი ითხოვდა გარკვეულ ვადას საწევრო დავალიანების გადასახდელად და ხელახლა გაწევრიანებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნოშრევან ჟღენტის განცხადებას თან ერთვოდა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნოშრევან ჟღენტის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება და 2019 წლის 24 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ნოშრევან ჟღენტის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 1 მარტი.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა;

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: თეონა გერაძე, ნინო ხურციძე, თეონა მარდალეიშვილი, გიორგი ლოლაძე, ოლეგ ნიკოლაიშვილი, ნინო დარახველიძე, გიორგი გიორგაძე, მზია სეხნიაშვილი; 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ნინო ქათამაძე, ინეზა წოწონავა, ნანა კაპანაძე, სალომე აბრამიშვილი, ფატიმა ჩაფიჩაძე;

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ: თეონა გერაძე, ნინო ხურციძე, თეონა მადალეიშვილი, გიორგი ლოლაძე, ოლეგ ნიკოლაიშვილი, ნინო დარახველიძე, გიორგი გიორგაძე, მზია სეხნიაშვილი, ნინო ქათამაძე, ინეზა წოწონავა, ნანა კაპანაძე, სალომე აბრამიშვილი, ფატიმა ჩაფიჩაძე. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ნინო ქათამაძეს, ინეზა წოწონავას, ნანა კაპანაძეს, სალომე აბრამიშვილის, ფატიმა ჩაფიჩაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. უჩა ზაქაშვილის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ უჩა ზაქაშვილის 2020 წლის 2 თებერვლის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს უჩა ზაქაშვილის 2020 წლის 4 თებერვლის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას უჩა ზაქაშვილის კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 5. თამარ გაბისონიას განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ თამარ გაბისონიას 2020 წლის 6 თებერვლის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ გაბისონიას 2020 წლის 6 თებერვლის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას თამარ გაბისონიას კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 6. ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამატებითი სიის დამტკიცება

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიას: იოსებ ხითარიშვილი და დალი ჭანიძე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 7. 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის დამტკიცება

წევრები გაეცნენ 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამას და პროგრამაში შესატან ცვლილებების პაკეტს (დანართი 1).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა და პროგრამაში შესატან ცვლილებების პაკეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 8. 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე განცხადებების განხილვა;

(ა) ნათია მეზვრიშვილის 2020 წლის 20 იანვრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნათია მეზვრიშვილის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ბ) გიორგი ჟიჟილაშვილის 2020 წლის 5 თებერვლის განცხადებას რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ოჯახური პირობების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი ჟიჟილაშვილის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(გ) თამრიკო ჩუტკერაშვილის 2020 წლის 6 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამრიკო ჩუტკერაშვილის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(დ) ნიკა ვეკუას 2020 წლის 12 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ოჯახური პირობების გამო და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნიკა ვეკუას 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ე) მერი წერეთლის 2020 წლის 17 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მერი წერეთლის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ვ) თამარ გულხადარაშვილის 2020 წლის 5 მარტის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტები) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ გულხადარაშვილის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ზ) ნინო ტყემალაძის 2020 წლის 4 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ტყემალაძის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(თ) თენგიზ ლომთაძის 2020 წლის 4 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადდა დაგვიანებით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თენგიზ ლომთაძის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ი) გიორგი ცოხეხიას 2020 წლის 17 თებერვლის განცხადებას, რომელშიც ითხოვდა 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი ცოხეხიას განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(კ) ირაკლი ბოლქვაძის 2020 წლის 21 იანვრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ იგი იყო 2008 წლის ომის ვეტერანის სტატუსის მქონე პირი და სამხედრო სამსახურის პერიოდში მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტები). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, იგი ითხოვდა 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი ბოლქვაძის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ლ) ელენე უთმელიძის 2019 წლის 6 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე (თანდართული იყო სამსახურიდან მივლინების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის თანხის საფუძველზე, 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ელენე უთმელიძის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

(ლ) ეკატერინე მიგრიაულის 2020 წლის 10 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი), იყო მარტოხელა დედა და ითხოვდა 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, აღმასრულებელმა საბჭომ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, გამოცდის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს აპლიკანტი. წევრებმა საპატიო გარემოებად მიიჩნიეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი და ასევე, აღნიშნეს, რომ გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები წარმოდგენს აპლიკანტისთვის არასავალდებულო, ნებაყოფილობით კომპონენტს და აქედან გამომდინარე, საბჭო თვლის, რომ განმცხადებლის მოთხოვნა გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსებზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გაათავისუფლების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ეკატერინე მიგრიაულის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გაათავისუფლების თაობაზე და ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-6 მუხლის, 6.3 პუნქტის თანახმად, ეკატერინე მიგრიაული გაათავისუფლებულ იქნას 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

საკითხი 9. ინტელექტუალურ საკუთრების ეროვნული ცენტრის განცხადება - „საქპატენტისა“ და WIPO- ს (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემია) აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების დისტანციურ სწავლების ზოგადი კურსის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადება თანდართული მასალებით შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ინტელექტუალურ საკუთრების ეროვნული ცენტრის განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 10. მარიამ გოცირიძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ მარიამ გოცირიძის 2020 წლის 17 თებერვლის განცხადებას, რომელსაც თან ერთვოდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება (2009 წლის 31.03-01.10 მდგომარეობით) და რომელშიც ითხოვდა 2019 წლის 20 დეკემბერს წარმოდგენილი განცხადების განმეორებით განხილვას.

წევრები გაეცნენ მარიამ გოცირიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2006 წლის 28 ნოემბერს მას ჩაბარებული ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით. 2005 წლის ნოემბრიდან 2010 წლის სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციებზე, კერძოდ: 2009 წლის 23 აპრილის საქართველოს მთავარი პროკურორის #31 ბრძანებით იგი გათავისუფლდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანის უფლებთა დაცვის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, სადაც ის მუშაობდა 2010 წლის 1 -ელ სექტემბრამდე.

განცხადებაში მითითებული იყო, რომ 2009 წლის აპრილიდან 2010 წლის სექტემბრამდე მდგომარეობით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროკურატურის სამმართველოს უფროსის თანამდებობა უთანაბრდებოდა პროკურორის თანამდებობას, რაც დასტურდებოდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულებით (2009 წლის 31.03-01.10 მდგომარეობით) ადამიანის უფლებთა დაცვის სამმართველოსთვის დადგენილი ამოცანებით.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინფორმაციაზე დაყდნობით, განმცხადებელი ითხოვდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის ვალიდურად ცნობას და უფლებას, რომ თანდართული სერტიფიკატის და შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე დარეგისტრირებულიყო ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ, მომავალში ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტით დადგენლია, რომ ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატი ვალიდურია, თუ პირი 10 წლიან ვადაში დადგენილი წესით გაწევრიანდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად.

მარიამ გოცირიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ მის მიერ 2006 წლის 28 ნოემბერს ჩაბარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დამადასტურებელი სერტიფიკატი ვალიდურია, რადგან მან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის ვადაში დაიწყო პროკურატურაში მუშაობა, ხოლო 2009-2010 წლებში მოქმედი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მის მიერ 2009-2010 წლებში დაკავებული საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანის უფლებთა დაცვის სამმართველოს უფროსის თანამდებობა უთანაბრდებოდა პროკურორის თანამდებობას.

აქედან გამომდინარე, მარიამ გოცირიძე უფლებამოსილია, 2006 წლის 28 ნოემბერს ჩაბარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.5 თანახმად დარეგისტრირდეს პროგრამის მონაწილედ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ გოცირიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადება თანდართული სერტიფიკატის და შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ რეგისტრაციისთვის უფლებამოსილების მიღების თაობაზე.

საკითხი 11. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „მეურვეობა/მზრუნველობისა და ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის“ შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ საკითხი

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ჯგუფის შექმნის საჭიროება დადგა მეურვეობა/მზრუნველობისა და ბავშვთა ზრუნვის პოლიტიკის სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებისა და რეფორმების გამო, რაშიდაც ადვოკატთა აქტიური ჩართულობა ხელს შეუწყობს სოციალური მუშაკების საქმიანობისა და ბავშვთა ინტერესების დაცვის ეფექტურად ადმინისტრირებას.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ასოციაციაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საქართველოში მეურვეობა/მზრუნველობისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე მოსაზრებებს და უზრუნველყოფს რეფორმების პროცესში ადვოკატთა ასოციაციის აქტიურ ჩართულობას.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. ისინი გაეცნენ დებულების პროექტს და ჯგუფის შემადგენლობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მამუკა ნოზაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ უჭერს მხარს ჯგუფის ამ შემადგენლობით დამტკიცებას, რადგან თვლის, რომ წარმოდგენილ შემადგენლობაში დასახელებულ წევრებს შესაძლოა გააჩნდეთ განსხვავებული ინტერესები ვიდრე ჯგუფის შექმნის მიზანშია გაცხადებული. მან განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს ნეიტრალური პირებით დაკომპლექტებულ ჯგუფის შემადგენლობას. გარდა ამისა, არ არის დასაბუთებული აღნიშნული ჯგუფის შექმნის აუცილებლობა, რადგან ასოციაციის თითოეულ წევრს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ პრობლემატურ საკითხზე ან საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას. აქედან გამომდინარე, იგი არ უჭერს მხარს აღნიშნულ საკითხს.

აღმასრულებელი საბჭოს დანარჩენი წევრების მხრიდან განსხვავებული პოზიცია არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, წინააღმდეგი - 1: მამუკა ნოზაძე), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის „მეურვეობა/მზრუნველობისა და ბავშვზე ზრუნვის სამუშაო ჯგუფის“ დებულება სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2);

(ბ) შეიქმნას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „მეურვეობა/მზრუნველობისა და ბავშვზე ზრუნვის სამუშაო ჯგუფი“ და დამტკიცდეს ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

საკითხი 12. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ცირა მაისურაძის 2020 წლის 4 თებერვლის განცხადებას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ იგი იყო პენსიონერი და ითხოვდა საწევრო გადასახადის ვალდებულების შემცირებას 50%-ით, განცხადებას თან ერთვოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მიერ 2019 წლის 30 დეკემბერს გაცემული ცნობა, რომ იგი იყო იუსტიციის სამინისტროს (პროკურატურა) ხაზით კომპენსაციის მიმღები პირი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, ცირა მაისურაძე არ იყო „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის“ წესის მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად საპენსიო ასაკს მიღწეული პირი, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საპენსიო ასაკს მიღწეული წევრებისთვის (ქალები 60 წლიდან, მამაკაცები - 65), პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე 50%-იანი საშელავათო საწევროს განსაზღვრის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ცირა მაისურაძის 2020 წლის 4 თებერვლის განცხადება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე საწევრო გადასახადის ვალდებულების 50%-ით შემცირების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება საშელავათო საწევროსთვის დადგენილი კრიტერიუმების შესახებ.

(ბ) მაია სირაძის 2020 წლის 6 თებერვლის განცხადებას სიით ნომერში (1192/1) „დროზ ერთის“ მოხსნის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მია სირაძის 2020 წლის 6 თებერვლის განცხადება და მისი სიითი ნომერი განისაზღვროს შემდეგნაირად - 1192.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე